

პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვართამაღლების
კვირის სამოციქულო საკითხავის ქადაგება , 15
სექტემბერი 2019

(გალ. 2:16-20)

დღეს, კვირას ჯვართამაღლების შემდეგ, ჩვენ კვლავ ვინსენებთ იმ კეთილ საქმეებს, რომელიც მოგვიტანა ჩვენ უფალმა თავისი ჯვარცმით. უფალი გოლგოთაზე გააკრეს, და სწორედ იქ იტვირთა მან ყველა ცოდვების სიმძიმე: თითოეული ადამიანის პირადი ცოდვა და კაცობრიობის ცოდვა. ჯვარცმით ცოდვები მიელურსმა ჯვარს იესო ქრისტესთან ერთად; ქრისტეს ჯვარცმით ისინი განადგურდნენ. ან, როგორცაა 6 საათიან ლოცვაში, უფალი ჩვენი იესო ქრისტე „... მისი წმინდა ჯვრით ჩვენი ცოდვების გამანადგურებელი და ამითვე გამარჯვებული სიბნელის მეუფებასა და მბრძანებლობაზე“.

თვითოეული ქრისტეს მორწმუნე ადამიანი ნათლობისას თავისუფლდება ცოდვებისგან, მისი ყველა წარსული ცოდვები ნადგურდება და როდესაც ის ამოდის ნათლობის წყლიდან, იგი იწყებს თავის ახალ ცხოვრებას ქრისტეში. ნამდვილად, ნათლობის დროს ჩვენ თანამონაწილეები ვართ ქრისტეს სიკვდილისა და

დაფვლისა. როგორც წერს წმინდა პავლე „ესე უწყით, რამეთუ ძუელი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარსეცუა, რათა განქარდეს ხორცი იგი ცოდვასა, რათა არღარა ვჰგონებდეთ ჩუენ ცოდვასა" (რომ. 6:6). „რამეთუ, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა" (2კორ. 5:17).

მოციქული პავლე ქრისტეს მადლზე წერს, რომელიც მასში ცხოვრობს და მოქმედებს. მან თავი ქრისტეს მიანდო. რასაც აკეთებს ყველაფერს ქრისტეს ნებით აკეთებს. იმისდა მიუხედავად, წყვიტავს ის, სად წავიდეს და რა გააკეთოს, ქრისტე წარმართავს მას. წმ. იოანე ოქროპირი პავლე მოციქულის სიტყვებს ასე განმარტავს: „რადგან პავლე ყველაფერს აკრთებდა ღვთის ნებით, ის ქრ ამბობდა „ვიყოთ ქრისტეში", უფრო მეტად - ... „ქრისტე არის ჩემში". ვინაიდან ქრისტე იყო მასში, მოციქული პავლე მოქმედებდა ღვთის ნებით.

ამ უდიდესი მადლის წყალობით მოციქული პავლეს ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა: მთლიანი მისი ცხოვრება გაბრწყინვალეებული იყო ქრისტესადმი რწმენით, და ის მისით სულდგმულობდა. მოციქულის ცხოვრება სხვების ცხოვრებას ჰგავდა: მას უწევდა შრომა, რათა მოეპოვებინა საარსებო და საჭმლისა ფული. მაგრამ, მასში რწმენა იმისა, რომ ქრისტემ

შეიყვარა ხალხი, შეიყვარა ცოდვილნი, ისეთი ძლიერი იყო, რომ გრძნობდა, რომ ქრისტე ჯვარს ეცვა მისთვის! ასე წერს მოციქული პავლე გალატელთა მიმართ წერილში: „ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემთანა ქრისტე. ხოლო რომელ - ესე აწ ცხოველ ვარ ხორცითა, სარწმუნოებითა ცხოველ ვარ ძისა ღმრთისათა, რომელმან შემეყვარა მე და მისცა თავი თვისი ჩემთვის".(მუხ.20).

ჩემო ძმებო და დებო, როდესაც ჩვენ შევძლებთ გავათვითცნობიეროთ ის სულიერი სიმაღლე, რომელსაც მიაღწია მოციქულმა პავლემ, როცა გავიგებთ, რომ ის იყო განდიდებული ადამიანებისა და ანგელოზების მიმართ, სწორედ იმიტომ, რომ მთლიანად დაუმორჩილა თავისი ნება ქრისტეს ნებას, სწორედ მაშინ შევძლებთ გავიგოთ ქრისტიანული ცხოვრების მთელი ძალა. ის, ვინც ქრისტეს გზას აირჩევს, ვინც შეასრულებს უფლის ნებას საქმით და სიტყვით, ის ყველაფერში წარმატებას მიაღწევს. ამის დამამტკიცებელია არა ხოლოდ წმ. პავლე მოციქულის ცხოვრება, არამედ უფლის წმ. ასკეტების ცხოვრება მრავალი საუკუნების განმავლობაში, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა. ჩვენ აღფრთოვანებით ვიხსენებთ მათ ცხოვრებასა და

სასწაულებს და შევთხოვთ მათ ლოცვას, დახმარებას და მფარველობას.

თუმცა, მაშინაც კი როდესაც ჩვენ ამას ვაკეთებთ, ჩვენ გამოწვევის წინაშე ვდგებით. ვიღებთ ქრისტიანულ ცხოვრებას თეორიულად, პრაქტიკულად, თუ შევხედავთ ჩვენს სულიერ ბრძოლას, ყველაფერი გაცილებით რთულად გვევლინება: პირადი სისუსტეები, ეშმაკისეული ცთუნებები გვაშორებენ ჩვენ ღმერთზე ფიქრისგან. ჩვენ ვკარგავთ ღვთისადმის მისწრაფებას და გვესმის ხმები, რომლებიც ეჭვებს ბადებენ. ეს ხმები ცდილობენ იმედგაცრუება დათესონ ჩვენში, ამბობენ, რომ სახარება არ შეიძლება იყოს გამოყენებული დღევანდელ წამხდარ საზოგადოებაში; რომ არ შეიძლება ყველა იყოს ისეთი, როგორც პავლე მოციქულია, და ეს უბრალოდ შეუძლებელია!

ყველაფერი ეს - არა უმეტესი მცდელობაა „მაჰატიეთ ცოდვილი საქმეები“, როგორც ნათქვამია ფსალმუნში (140, 141:4). როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პავლე მოციქულისადმი მიბაძვაზე, ჩვენ არ ვგულისხმობთ სასწაულების ქმნის შესაძლებლობებზე ან მესამე ცამდე ამაღლებაზე. ჩვენ ზუსტად რაც შეგვიძლია გავაკეთოთ ეს არის მივბაძოთ მას რწმენაში, სიყვარულსა და

ქრისტეს მორჩილებაში. მილიონობით ქრისტიანი სწორედ ასე მიჰყვებოდა მოციქული პავლეს მაგალითს.

ჩვენ მარტონი არ ვართ ჩვენი ცხოვრების გზაზე, რადგანაც თითოეულ ჩვენგანს მინიჭებული აქვს ღვთის მადლი. ყოვლისშემძლე უფლისთვის ყველაფერი შესაძლებელია! ჩვენ მხოლოდ უნდა მოვინდომოთ ხელი ჩავჭიდოთ, რომელსაც უფალი გვიწვდის თითოეულ ჩვენგანს და ვიაროთ იმ გზით, რომელიც იესო ქრისტემ განგვისაზღვრა თითოეულისთვის.

მიჰყვით მის მაგალითსა და სიტყვას. ამინ!